ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი 1896 წ. **№ 11** ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი 1896 წ.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., :ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი“

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.

## ი ძ ლ ე ვ ა ქ ი რ ი თ

**8 თვალი დუქანი**, თავის ბალახანით, სარდაფით, ეზოთი და წყალით.

დაქირავება შეიძლება საერთოდ და ცალცალკეც.

**ვორონცოვის ქუჩა**, პოლიციის მეექვსე ნაწილი.

მსურველთ პირობების შეტყობა შეუძლიათ: შუა ბაზარში, წმინდა სანთლის საყაჭრო-ში: **ნიკოლოზ გილანოვთან.**

(2—1 ფ.)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს 1896 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება:

I

## დროებით სიყვარული

კომ. 2 მოქ. თარგ. ერისთავისა.

II

## მე მინდა კნეინა გავხდე

კომ. 2 მოქ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ივანიძისა; ბ.ბ. აბაშიძე, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, აღამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი და სხვა.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი: ვ. ალექსიმესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

## კაბინეტი კბილის ექიმისა
### ვ. ი. ჯიჯინაძისა

ნიკოლოზის ქუჩა ,სახლი საგინოვისა, 21, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და სალამოს 4—7 საათამდე.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

28 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 27 ოქტომბერს გატჩინოში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ობერ გოფმეისტერ გოლიცინზე, პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები და დიდი მთავრები. ცხედარი სამგლოვიარო ვაგონით მოსკოვში წაასვენეს.

საპყრობილეთა მმართველობის უფროსად დაინიშნა ბოგდანოვიჩის მაგიერ სალომონი.

**პარიზი.** მხატვარ ბოგოლიუბოვზე პანაშვიდს გადიხდიან 28 ოქტომბერს, 11 საათს დილით; მას შემდეგ ცხედარს წაასვენებენ პეტერბურგს.

**სტამბოლი.** პრეზიდენტი სისხლის სამართლისა ხალიდ-ბეი დაინიშნა დიარბეკირის მმართველად.

## ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთი ობერ-კონდუქტორი რაღაც დანაშაულობის გამო სამსახურიდგან დაითხოვეს. „ურია რომ გაკოტრდება, ხომ მოგეხსენებათ, ძველ ვალებს მოიგონებსო“. სამსახურიდგან დათხოვნილმა კონდუქტორმა ბაბროვმა მიჰმართა რკინის გზის უფროსს და სთხოვა, რაც სამსახურში ვარ, რკინის გზის მმართველობისაგან არც სახლი მქონია საცხოვრებელი და არც მის მაგიერი ფული სახლის ქირისაო, თუმცა ეს ფული კანონის ძალით მერგებაო, დასძინა ბაბროვმა და მიუთითა რკინის გზის უფროსს სახელმწიფო რკინის გზათა უმთავრეს მმართველობის მიერ გამოგზავნილ ცირკულიარის ერთს ნომერზე. მეტი გზა არ იყო, ბაბროვს რაც ფული ერგებოდა მისცეს. ეს ამბავი გაიგეს სხვა კონდუქტორებმა და წვრილმა მოხელეებმა და იმგვარისავე თხოვნით მიჰმართეს რკინის გზის უფროსს.

საქმე იმაში არის, რომ 1889 წლიდგან, რაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა მთავრობამ ჩაიბარა, ტფილისში მცხოვრებ კონდუქტორებს და სხვა წვრილ მოხელეებს სახლის ქირა არ ეძლეოდათ. აქამდე ამას არავინ აქცევდა ყურადღებას, ხოლო როდესაც ბაბროვმა ფული მიიღო, სხვებმაც მოითხოვეს. რკინის გზის უფროსმა ამ თხოვნაზედ უარი განაცხადა. მაშინ კონდუქტორებმა დასწერეს თხოვნა გზათა მინისტრის სახელობაზედ, მოაწერეს ხელი და გაგზავნეს პეტერბურგში.

არ გაუვლია დიდხანს, რომ პეტერბურგიდგან რკინის გზათა უმთავრესმა მმართველობამ მოსწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ქაღალდი და მოსთხოვა პასუხი ამ საქმის შესახებ. რკინის გზის მმართველობამ შემდეგი უპასუხა: რადგანაც რკინის გზის წვრილ მოხელეებს ყველას ტფილისში ჰსურს სამსახური და ყველა კუთხიდგან თავს გვაბეზრებენ ტფილისში გადმოგვიყვანეთო, ამიტომ ტფილისის მოხელეებს სახლის ქირას არ ვაძლევთო და რაც შეეხება ამ ფულს, რკინის გზის შეკეთებას ვახმარებთო.

პეტერბურგში ამგვარი მოხსენება არ შეიწყნარეს და მოსწერეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს: დაუყოვნებლივ მიეცით სახლის ქირა ყველა ტფილისის კონდუქტორებსა და წვრილ მოხელეებს, რაც-კი ერგებათ 1889 წლიდგან, იმათაც-კი, ვინც ეხლა სამსახურში აღარ არისო.

ამგვარად, თუ სხვა რამ არ მოიმიზეზა რკინის გზის მმართველობამ, ეს ფული ეხლა უნდა დაურიგდეს მოხელეებს. როგორც ამბობენ, სულ 16,000 მანეთი შესდგა დასარიგებელი ფული.

*** გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანები, როგორც გამოცხადებული იყო, ორშაბათიდგან გადაიდო დამდეგი ნოემბრის 4-სათვის.

*** მოსკოვის გაზეთებში სწერია, რომ ამ ჟამად კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი უკეთ არისო. ექიმების სიტყვით შერემეტიევს მალე შეეძლება წამოდგომაო. პირველ ხანებში მთავარ-მართებელი პეტერბურგს წავა და მერე კი დაბრუნდება ტფილისშიო.

*** წარსულ შაბათს, როგორც „ტფილისის ლისტოკი“ ამბობს, თბილისის სავაჭრო კომიტეტს წარუდგენია დასამტკიცებლად საფინანსო მინისტრთან პროექტი შესახებ საკომერციო სასწავლებლის გახსნისა ქ. ტფილისში.

*** ამავე გაზეთს ატყობინებენ განჯიდან დეპეშით, რომ ნერსეს ტერნერსესოვის მკვლელები პოლიციას უკვე შეუპყრია. მკვლელებს თურმე ნერსესოვი გზაზე მოუკლავთ, მერე ეტლში ჩაუგდიათ და, როცა გაუძარცვავთ, ქუჩაზე გადმოუგდიათ და მოკლულის პალტოთივე დაუფარავთ.

*** ორშაბათს, 28 ოქტომბერს, ბათუმიდგან მომავალი მატარებელი რომ დაიძრა შორაპანის სადგურიდგან, ახალგაზდა მგზავრი აზნაური კურცხალია ვაგონზედ უნდა შემხტარიყო. კიბის ყურს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ფეხი-კი დაუცდა. ვაგონმა აითრია, კურცხალია უსათუოდ ძლიერ დაშავდებოდა, რომ არ მიშველებოდენ. კონდუქტორმა ჯაგაშვილმა მოჰკიდა ხელი კურცხალიას და, როგორც იყო, აიყვანა ვაგონზე.

*** ბათომიდგან გვატყობინებენ, რომ გიმნაზიის დაარსების საქმე საცაა მალე დაბოლოვდება. საქმე იმაში არის, რომ მთავრობა სთხოვს ქალაქს გიმნაზიის შესანახავად დახმარებას და ქალაქმაც აღუთქვა, რომ ყოველ წლივ შემიძლიან გიმნაზიას ვაძლიო ათი—თხუთმეტი ათასი მანათიო.

*** ქვემო აჭარიდგან გვწერენ, რომ ადგილობრივმა უფროსმა შერვაშიძემ, როგორც იქმნა, შეიპყრო სოფელ ძეწმანში ორი ყაჩაღი, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში ყოველ სისაძაგლეს ჩადიოდნენ; სხვათა შორის, მაგათ გაუძარცვავთ თურმე ბერძენი გონიადი და სხვებიც. ავაზაკები აღმოჩნდნენ სოფელ ალვესენიდან ერთი გვარად კახუმ-ოღლია და მეორე იზმაილ ბარაიხტარი.

*** ძლივს ეღირსა ქუთაისს ახალი ორთქლის აბანო, მშვენიერი სუფთა ნომრებით და ელექტრონით განათებული. ასეთი აბანო ქუთაისზე უფრო დიდ ქალაქს დაამშვენებს. ჩვენ, ქუთაისელები, მით უფრო სიხარულით მივეგებებთ ასეთ ძვირფას აბანოს აშენებას, რომ ეს აბანო, შეერთებული თანხით, რამდენმამე პირმა ააშენა. სწორეთ ღირსნი არიან სხვა ქართველებმაც წაბაძონ ბ. ბ. სიმონ ქეიშვილს, რომანოზ მახარაძეს და ჯანელიძეებს, რომლებმაც ძმურათ გაუწოდეს ერთმანეთს ხელი და დაგვანახვეს, რომ თუმცა ქართველები ღარიბები ვართ და ჩვენში კაპიტალი არ არის, მაგრამ, თუ ერთმანეთს მხარს მივცემთ, შევერთებით და ამხანაგობას დავაწესებთ, ჩვენც შეგვიძლიან ვიქონიოთ ქარხნები, ფაბრიკები და სხვა.

*** ქართველი საზოგადოება დიდად გაახარა ბატ. ილია ფერაძის მიერ დაწყობილმა საქმემ; თბილისის სემინარიის ქართველი მოწაფეებიმის თხოვნით და მამა რექტორის ნებართვით შიგა და შიგ კვირა-უქმეობით ჰქადაგებენ ქართულ ენაზე კალოუბნის ეკკლესიაში. სხვათა შორის 27 ამ თვისას, კვირას, ერთი მოწაფეთაგანი უქადაგებდა მლოცველებს და მართლაც რომ მოხდენილი, კარგის შინაარსის, სიტყვა წარმოსთქვა. დიდ მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც-კი ამ საქმეში მონაწილეობას იღებენ. ვისურვებთ ამ საქმის შეურყევლად გაგრძელებას.

*** ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ ცხენის რკინის გზის გაყვანის საქმე კიდევ ვერ დასრულდა, რადგან ქალაქის გამგეობამ პირობები ვერ გამოიკვლია, რის გამოც ქალაქის ხმოსნებმაც ვერა გაარიგეს რაო; სასურველია, რომ ამ საქმეს უფრო მეყაითად მოჰკიდოს ხელი ქალაქის თვით-მმართველობამ და უმნიშვნელო კინკლაობის მაგივრად მალე დააბოლოვონ ეს საქმე, თორემ რაც დრო გადის, მით უფრო ქალაქი იზრდება და მისვლა-მოსვლა თანდათან უფრო ძნელდება ერთმანერთთან დაშორებულ უბნების შორისო.

*** ქ. ქუთაისიდგან გვწერენ: ეს ორი დღეა, რაც მთებში დასთოვა, ქუთაისში საშინლად აცივდა და ცუდი დარიც დადგა.

*** იქიდამვე გვწერენ, რომ ურიების საქმის შესახებ საოლქო სასამართლოში უკვე ბრალმდებელს თავისი სიტყვა წარმოუთქვამს და ყველანი დამნაშავედ უცვნია ერთის გარდა. ვექილებსაც წარმოუთქვამთ სიტყვები. სასამართლო ამ ორ-სამ დღეში გამოაცხადებს თავის განაჩენს. ქვემოდ „სასამართლოს მატიანეში“ ჩვენ უფრო დაწვრილებით მოგვყავს ეს საქმე.

*** ქუთაისიდამვე. აგერ თითქმის სამი წელიწადია, რაც გამუდმებით სჩივიან და წუწუნებენ ივანოვის ქუჩაზე მცხოვრებლები—ხმა მაღლა გაიძახიან: ფულები გადაგვახდევინეთ და ქუჩა გაგვიკეთეთო, მაგრამ მთქმელს ხომ გამგონი უნდა და გამგონი კი არავინ არის. ამ ქუჩის მცხოვრებნი, თუ სხვა მოსიარულე ხალხი, ავდარში სწორედ ყელამდი ტლაპოში იფლებიან; ეტლით სიარული ხომ შეუძლებელია. ისევ ფეხით, მაგრამ ვისი ფეხი გაუძლებს ივანოვის ქუჩის ტალახ-ტლაპოს. ნუ თუ დრო არ არის, რომ ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ხალხის თხოვნას, მით უფრო რომ ქუჩის გაკეთება გროში კაპეიკი არ დაუჯდება, რადგან თვით ქუჩის მცხოვრებნი ჰკისრულობენ ყოველ ხარჯს, ოღონდ გვიშველეთ და ტალახში ნუ დაგვახჩობთო.

*** ბ-მა ტფილისის გუბერნატორმა 29 ამა ოქტომბერს აცნობა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ ქ. ა. ვერმიშოვი უკვე დამტკიცებულ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრადაო. ამის გამო 29 ოქტომბერსავე მოწვეულ იქმნა ბ-ნი ვერმიშოვი გამგეობის კანცელარიაში, სადაც მან მიიღო დაწესებული ფიცი ერთგულის სამსახურისა.

*** ამ წლის აპრილის ნახევარში ქალაქის საბჭომ, სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცის კურთხევისა, დაადგინა, სხვათა შორის, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტროს წინაშე მასზედ, რომ ტფილისის ღარიბ სახლის მეპატრონეებს ეპატიოს 20,000 მანეთი დარჩენილი ხარჯი სახლების დაფასებისა. ამ დღეებში ქალაქის გამგეობას შეატყობინეს, რომ მთავრობამ არ შეიწყნარა ხსენებული შუამდგომლობა, რადგან სამოქალაქო დაწესებულების კანონში არ არის ნაჩვენები, რომ ამისთანა შემთხვევებისათვის ქალაქს შეეძლოს დარჩენილ ხარჯთა პატიებაო.

*** 28 ოქტომბერს პოლიციაში გამოაცხადა სოფ. წყნეთის მცხოვრებმა ქვრივმა ბარბარე არჩვაძისამ: 15 ოქტომბერს სახლიდგან გამოვიდა ჩემი შვილი ვასილი და მას შემდეგ არსადა სჩანსო. ვასილ არჩვაძე 16 წლისაა, შუა ტანისა, შავგვრემანი, წვერ-ულვაში ახლადა აქვს ამწვანებული, ტანთ თეთრი ბამბაზის პერანგი აცვია, ფეხზედ—ჩუსტები.

*** ნაძალადევის მოსახლ-კარეთა საქმე თითქმის გათავებულად უნდა ჩაითვალოს. მომატებულმა მათგანმა უკვე გაიტანეს ხელ-შეკრულობა, ბევრმა კიდეც ააშენა თავისთვის ქოხების მაგიერ ნამდვილი სახლები და ამ სახით შეიქმნენ წესიერნი მოქალაქენი ტფილისისა, დაბრკოლებას წარმოადგენდენ აქამომდე მარტო ის მოსახლენი, რომელთაც სერებზედა ჰქონდათ გაკეთებული თავიანთი ქოხები. ეს სერები და ფერდობები, სადაც გასაჭირია შესაფერ ქუჩების გაყვანა, ქალაქს გადადებული აქვს ტყისა და ბაღების გასაშენებლად. ნაძალადეველებს ნათქვამი ჰქონდათ, რომ თავიანთი ქოხები აეღოთ ამ ფერდობებიდამ და გადმოეტანათ ვაკე ადგილზედ; დიდხანს უარზედ იყვნენ იგინი, რადგან თავიანთი ამაგი ენანებოდათ; ბოლოს კი დათანხმდნენ და ეხლა თითქმის ყველა მათგანს პირობის ქაღალდი გატანილი აქვთ, რომ გაზაფხულზედ სულ ძირს ჩამოიტანონ შენობები.

*** ტფილისის სათავად აზნაურო

## სასამართლოს მატიანე.

### ურიების საქმე ქუთაისში.

—

შარშან შემოდგომაზე ქუთაისში აჯანყება მოხდა ურიების წინაალმდეგ. სამართალში მისცეს ამ არეულობის გამო შემდეგი პირნი: ქალაქის მცხოვრებნი სამი ძმა სალრიშვილები, ნ. ტუშელაშვილი, გ. ლევიძე, გგ. ჯიბლაძე, პ. ლომიძე, მ. გაწაძე, პ, ლალაძე, პ. ბერეკაშვილი, გ. გაბია, ნ. შანიძე, იგნ. ნიჟარაძე, ათ. ლოსაბერიძე, მ. ჯონია, ნ. გაბალაძე, გრ. ოქროჯი-სალოსიაშვილი, ი. ლათიაშვილი, გ. ნიშნიანიძე, გ. მურადოვი და ა. ავთანდილოვი, აზნაურნი: გრ. განდელაკი, მ. დიხომინჯია, გ. კრისთავი, გრ. ავალიანი, ბ. ლორთქიფანიძე, გლეხნი ქუთაისის მაზრისა: ონ. სულაკაძე, ს. რგვიშვილი, ბ. ბალანჩივაძე, გ. ჭეიშვილი, ბ. შანიძე, ლ. გიგაძე, ოზურგეთის მაზრის რ. მგელაძე, შორაპანისა—ა. პატარიძე და სენაკის—ილ. ქუნალეიშვილი და გრ. დგებუაძე, ამათ ბრალდებათ კანონის 269 და 310 მუხლში მოხსენებული დანაშაულობა.

აი რას ამბობს ბრალმდებელი ოქმი ამ საქმეზედ:

14 ოქტომბერს 1895 წელსა მოწამეთის უდაბნოდგან დაბრუნებულნი, სოფ. მაღლაკის მცხოვრებნი, ლუკა და ლუარსაბ კოსტავა, სარდიონ გამგონეიშვილი და ოთხი იმავე სოფლის ქალი შემოვიდნენ ქუთაისში-ურიების უბანში. აქ ესენი წააწყდებიან ამ ვვარ სანახავს: ვილაც ჰკუაზედ შეშლილს ქალს, ქრისტიანს, გარს შემოხვევია გროვა ურიების ყმაწვილებისა, აწვალებენ, დასცინიან და აჯავრებენ. ქრისტიანები გამოექომაგებიან საბრალო ქალს და ამის გამო ურიებსა და ქრისტიანთ შორის ატყდება ჩხუბი. ურიები რიცხვით მეტი არიან და სჯობნიან ქრისტიანთ, ერთი ამათგანი ლუკა კოსტავა ხანჯალს იძრობს, მაგრამ მაინც ვერას გახდება... ხედავს რომ დასძლიეს ურიებმა:. გაიქცევა და პირდაპირ წყალს, რიონს მიაშურებს, უნდა გავიდეს წყალში ფერმის პირდაპირ.. ურიები მისდევენ ქვით, კეტინით.. როცა კოსტავა შუა წყალში შესცურავს, მოხვდება თავში ქვა და გონება დაკარგული დასძირავს წყალში და იხრჩობა. პოლიცია გაჩნდება, დაატუსაღებს ვისზედაც იჭვს აიღებს. გამომძიებელი თავ. ყიფიანი იწყობს გამოძიებას.

— მეორე დღეს ხალხში გავრცელდება ხმა, რომ ურიები ახრჩობენ ქრისტიანებს და ანთავისუფლებენ, არა სჯიანო. ჩვენ თვითონ უნდა დავსაჯოთო. მაგრამ ამ დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

16 ოქტომბერს, დილით ადრე, პოლიცმეისტერმა სვიმონოვმა გაიგო რომ ურიებს სცემენ ესრეთ წოდებულ «ზელიონი ბაზარში». პოლიციამ მიიღო ზომა. ბაზარში ურია აღარ გამოუშვა, ხალხი გაფანტა, მაგრამ არეულობა მატულობს. ხალხი ქვას დაუშენს ურიების დუქნებს ბაზარის ქუჩაზედ, ურიები დუქნებს ჰკეტენ და ფაიტონებით, პოლიციის შემწეობით, მიეშურებიან თავ-თავიანთ სახლში. 10 საადზედ იმოდენათ გაძლიერდა ცემა-ტყეპა ურიებისა, რომ პოლიციამ აცნობა გუბერნა-

ბანკში წელიწადში ორჯერ, 1 მაისს, და 1 ნოემბერსა ბანკის წესდების თანახმად, გირაონობის ფურცლების ტირაჟი მოხდებოდა ხოლმე, დღეიდგან კი ფინანსთა სამინისტროს წინადადებით ტირაჟი მხოლოდ 8 მაისს და 8 ნოემბერს უნდა მოხდეს ხოლმე. ამ წინადადებას სამინისტრო იმით ასაბუთებს, რომ ამ დაგვიანებული ტირაჟით შეღავათი მიეცემათ ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკის იმ მსესხებელთ, რომელთაც თავიანთი მამული ჩვენი ბანკიდგან სახელმწიფო ბანკში გადააქვსთ და იმით კიდევ, რომ სხვა საადგილ-მამულო ბანკებშიაც ტირაჟისათვის ორჯელვე 8 რიცხვია დანიშნული.

*** ამ შემოდგომაზედ ბაქოსა და განჯის გუბერნიებიდგან და გორის მაზრიდგან ქ. ტფილისში რკინის გზით ბევრი ტკბილი ჩამოაქვთ. ტკბილის პატრონები ძალიან უჩივიან რკინის გზის გამგეობას, რადგან ორი-სამი საათის სავალს, მაგალითად, გორიდგან და კასპიდგან ტფილისამდე ორს და სამს, ბევრჯერ ოთხს დღეს ანდომებენ.

ამ ჟამად გორის მაზრიდგან ხილეულობაც ბლომად ჩამოაქვსთ, მაგრამ ხილი ბევრჯერ თურმე უფუჭდებათ, რადგან რკინის გზაზედ შემოღებულ წესების წყალობით გზაში დიდხანს რჩება ხოლმე.

*** დღეს საღამოს დანიშნულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განსვენებულ დ. ი. ყიფიანის ძეგლის დადგმის თაობაზედ უნდა ქონდეთ ლაპარაკი. ამ კრებაზედ მიწვეულია ჩვენი ახალგაზდა და ნიჭიერი მხატვარი გ. გაბაშვილი.

*** ღრმად მოხუცებულებს არ ახსოვთ ისეთი ავი ამინდი, როგორც წარსულ კვირაში იყო სურამის და ხაშურის მახლობელ სოფლებში. თოვლი და სუსხიანი სიცივე ხშირად ყოფილა ხოლმე ამ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, მაგრამ ისეთ ძლიერს ქარს, როგორც წარსულ ხუთშაბათს იყო, არავინ მოსწრებია. დაჰგლიჯა ხეები, დასახურავი ახადა სახლებს და კარგა შორს მანძილზე გადააგდო, ბევრი სახლი სრულებით დაანგრია და სხ. საბედნიეროთ ისე გადაიარა ამ ქარიშხალმა, რომ კაცს არა ვნებია-რა. ნაადრი სიცივე და ყინვა დიდ ზარალს მისცემს ხალხს, თუ არ გამოიამინდა. აქეთკენ ჯერ იშვიათად თუ ვინმემ გაათავა პურის თესვა. უმეტესი ნაწილი გიორგობისთვეში აპირებდა თესლის გარეთ გატანას და თუ უამინდობამ ხელი შეუშალა მუშა ხალხს, მომავალი წელიწადიც ისეთი საზარალო იქნება, როგორც წარსული. წრეულს ისეთი მცირე მოსავალი იყო პურისა აქეთკენ, რომ ბევრი სათესლე პურსაც კი ყიდულობს და იმათ, ვინც სხვა დროს ასი კოდობით ყიდდენ პურს, დიდი საქმე იქნება, თუ მოსავლამდის მიჰყვათ პური. არც სიმინდი მოვიდა უხვად. უამინდობას დაერთო კიდევ ავადმყოფობა—ახალ გაზაფხულზედ საშინლად გავრცელდა სოფლე; განელდა სოფლე და ხალხს ციება დაერია. ყოფილა აქეთკენ სხვა დროსაც ციება, მაგრამ ასეთი გავრცელებული და მოუშორებელი-კი არასოდეს. იშვიათს ოჯახს ნახავთ გლეხისას თუ თავად-აზნაურისას, რომ ორი სამი კაცი არ იყოს ციებით ავად. სვამენ რაც შეუძლიანთ ქინაქინას და ქინაქინამაც ვერა ქნა-რა.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ ვიღაც ავაზაკებს მოუკლავთ გორელი ვექილი შაიშმელოვი. ამ ამბის გამო დავეკითხეთ დეპეშით ჩვენს კორესპონდენტს და პასუხად შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „შაიშმელოვი დუშეთის მაზრაში მოჰკლეს. პოლიცია დაეძებს მკვლელებს, ნამდვილად ჯერ არაფერი ვიცით. დაწვრილებით ამბავს ფოსტით შეგატყობინებთ“.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი ნოემბრის ნახევარში ორის კვირით მიდის ქ. ეკატერინოსლავში. ამ დროს პოლიცმეისტრის მოადგილედ მისი თანაშემწე ბ-ნი სოკოლოვსკი იქნება.

*** ორშაბათს, 28 ოქტომბერს, ნათლუხში, რეიტერის სახლში ბავშვთა თავშესაფარის განყოფილება აკურთხეს. ბავშვთა ნადედის თავშესაფარი 45 ბავშვისთვის იყო გაღებული. ამ თავშესაფარის მზრუნველად დანიშნულმა ქ. მოსტიცკაისამ ბავშვთა რიცხვის თავშესაფარში მოუმატა სამოცამდე, მაგრამ ალაგი მაინც არა ჰყოფნიდა. ამის გამო ქ. მასტიცკაისამ იქირავა რეიტერის სახლი და იქ ორშაბათს გაიღო თავშესაფარის განყოფილება 20 ბავშვისათვის. ამ ჟამად თავშესაფარში უკანონო ნაშობნი ბავშვები ასამდეა.

## პოლიციის მატიანე

გუშინ-წინ არსენალის ქუჩ. შუაღამეს ასტრახანის გლეხი ივანე შჩენიკოვი შეხვდა თავის ახალგაზდა ცოლს ანასტასიას და სამჯერ ესროლა რევოლვერი, ქალს ორი ტყვია მოხვდა: ერთი მარჯვენა მხარეს და მეორე თეძოში. ქალის კივილზე მოიჭრა გოროდოვოი და მაშინვე შეიპყრო გამხეცებული ქმარი. შჩენიკოვმა სინანულით გამოაცხადა, რომ ცოლს მარტო ორჯერ ვესროლე და ვგონებ სიკვდილს გადარჩაო. ანასტასიამ გამოაცხადა, რომ ქმარი გამუდმებით მცემდა, ცუდად მექცეოდა და ამიტომ იძულებულ ვიყავ საჩივარი შემეტანა სასამართლოში ქმარზედ, და მოსამართლემ საქმე დანიშნა დამდეგი 5 ნოემბრისთვისო. ამის შემდეგ ქალი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა გასინჯეს მისი ჭრილობა და აღმოჩნდა, რომ დაჭრილის მდგომარეობა საშიში არ არის. ქმარი კი მაშინვე დააპატიმრეს. მიზეზი ქმარსა და ცოლს შორის ჩხუბისა, როგორც ყოველთვის, იჭვიანობა ყოფილა.

—

28 ოქტომბერს პოლიციის მოხელემ განჩაროვმა მიიყვანა პოლიციაში მთვრალი მეეტლე დავით კვისტაშვილი, რომელმაც ეტლი დააჯახა ნიკოლოოზ სიმონის ძეს ტონს, რომელიც მხოლოდ ბედით ძლიერ არ დაშავდა. მეეტლე პასუხის გებაში მისცეს.

—

28 ღვინობისთვეს პოლიციის მე-9 ნაწილის განყოფილებაში მივიდა ბათუმის მეორე გილდიის ვაჭარი ალექსანდრე ნ. ჩუბინიძე და განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა სავაჭროდ ბათუმიდამ და ჩამოხტა სადგურად „ცენტრალის“ სასტუმროში, რომელიც უჭირავს იოსებ ს. მაჰავარიანს. იმ დროს, როდესაც ჩუბინიძეს თვის ამხანაგ იაკინთე ტვიბერაძესთან ერთად, ეძინა ვიღაც შეიპარა ნომერში და სტოლიდამ ამოაცალა ოქროს საათი, ღირებული 50 მანათად. ქურდობის ჩამდენს ამ განძრავისთვის წინ და წინვე მოეშალა ფანჯრის ჩასაკეტი, საიდამაც გადაპარულიყო, ჩუბინიძემ ეჭვი მიიტანა სასტუმროს მოსამსახურეებზედ აზნაურ ნიკოლოზ მ.—ანზე და გლეხ ნიკოლოზ ს.—ფ. ლომ—ზედ. გამოძიება სწარმოებს.

—

28 ოქტომბერს ტფილისის მცხოვრებმა გეურქ თათულოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ 26 ოქტომბერს,

---

ტორს და ამის ბრძანებით პოლიციის მოსაშველებლად გამოვიდა 10 ცხენოსანი ყაზახი. ამათაც ვერა გააწყეს რა.

მოვიდნენ გუბერნატორი და სხვა მოხელე პირები. ხალხის დასამშვიდებლათ შეიპყრეს რამოდენიმე ურია და ციხეში გაგზავნეს—არც ეს ზომა მოქმედებს... 12 საათზედ 400 კაცი, მოწვეული ჯარში გასასვლელად,—მიემატება აჯანყებულებს და არეულობა იმდენად მატულობს, რომ საშიშარ მდგომარეობას წარმოადგენს. მაშინ გუბერნატორმა ერთი როტა კურინის პოლკისა გამოიხმო. ამ დროს გლეხი გრ. ფარჩხიძე ქვას ესვრის ყურში ურია ხანანაშვილს და გაიქცევა მიხეილის ქუჩისკენ.

პოლიცმეისტერი სვიმონოვი და პოლიციელი მგალობლიშვილი დაიჭერენ ფარჩხიძეს და გაგზავნიან სატუსალოში. ხალხი ეცემა სვიმონოვს, ჩამოაყენებს განზე, მისცვივიან პოლიციელებს და ხელიდამ გამოგლეჯენ დატუსაღებულს. სვიმონოვს მოეშველებიან ყაზახები და ამათი შემწეობით ხელახლავ იჭერს ფარჩხაძეს და ამწყვდევს კემულარიას სახლების ეზოში, რომელსაც მოკეტენ რკინის კარებით. ხალხი დაეტაკება ამ კარებს—ჩაიგდებს ფეხ-ქვეშ და სთელავს პრისტავს მიქელაძეს, თხოულობს და ჰყვირის, რომ ფარჩხიძე გაანთავისუფლონ. მაშინ სვიმონოვი, რომ უფრო არ გაძლიერდეს აჯანყება, ანთავისუფლებს ფარჩხიძეს... ამის შემდეგ აჯანყებულებს უფრო გული მოეცათ, პოლიციამ დაკარგა ყოველივე ძალა, არავის დატუსაღებას აღარ ანებებდნენ.

4 საათზე ნაშუადღევს ხალხი, ბ. ლორთქიფანიძის, ტყეშელაშვილის, ლევიძის, ლომიძის, ნიჟარაძის თაოსნობით გაეშურება ურიების ამოსაჟლეტათ—ურიების უბნისაკენ. პოლიციის ქუჩაზედ ხალხს დაუხვდება წინ ჯარი და არ უშვებს უბანში, მაშინ აჯანყებულები იყოფიან ორ ნაწილად—ერთი რჩება იქვე და მეორე ხროვა ხალხისა, მალაქია დიხომიჯიას წინამძღოლობით გაუხვევს ფრანგების ქუჩას—გადავა მდინარე რიონის პატარა ტოტს და იქიდამ დაეცემა ურიების უბანს—ქვა, კეტი, რაც-კი ხელში მოხვდებოდათ, ყოველივე იხმარეს—გაანადგურეს 108 ურიის სახლი. ამ განადგურებაში უმთავრესი მონაწილეობა მიიღეს:—გრ. კანდელაკმა, შანიძემ, მეგრელიძემ, ავთანდილოვმა, ოქროვმა, გ. ერისთავმა, ჯონიამ, გაბადაძემ, დათიაშვილმა და ნიშნიანიძემ.

როგორც ეს გაიგო პოლიცმეისტერმა, გაეშურა ჯარით და როგორც იქმნა განფანტა აჯანყებულები. ახლა დაუშინეს პოლიციას და ჯარს—ორი ჯარის-კაცი დაიჭირა.

ხალხი თან-და-თან მატულობს—გაგარინის ქუჩაზედ ხალხი მიაწვა ჯარს და იქით-აქეთ გაბნევა—პოლიციის ქუჩაზედ მდგომ აჯანყებულებს მიემატა ეს ხროვა და ყველამ ერთად ქვები დაუშინეს პოლიციას და ჯარს. კიდევ გამოიწვიეს ერთი ბატალიონი ჯარისა—მაგრამ ვერა გააწყვეს-რა—ბატალიონის უფროს პოდპოლკოვნიკ შპაკოვსკის ფეხში მოხვდება დიდი ქვა და მძიმეთ დაიჭრება—რამოდენიმე ჯარის კაცს თავს გაუტეხენ...

საჭიროდ დაინახეს უფრო ძლიერი ზომების მიღება და გამოიწვიეს მთელი ქუთაისის ჯარი—არეულობა შეჩერდა, მაგრამ როდესაც გენერალ მილოვის ბრძანებით ექვსი ქრისტიანი დაიჭირეს და მიჰყავდათ სატუსაღოში—ხალხი დაუხვდა წინ—დასჭრა ქვით ყარაულები და დაჭერილნი განათავისუფლა...

(შემდეგი იქნება)

ბალკონიდგან ვიღამაც 100 მანათად ღირებული პალტო მოიპარაო.

## რკინის გზის ამბები.

— 27 ოქტომბერს სადგურ კოპიტნარიდგან რომ გასულა სამგზავრო მატარებელი სწორედ მე-64 ვერსზე კამბეჩს დასჯახებია, რის გამო იძულებულ იყვნენ მატარებელი შეეჩერებინათ, სანამ მატარებლის თვლებიდგან არ გამოიღებდენ კამბეჩის სხვა-და-სხვა ნაწილს, რომელიც ძალზე გასჩხირებოდა მატარებლის თვლებს. მგზავრებს თურმე პირველათ ძლიერ შეჰშინებიათ.

— იმავე დღეს ბაქოს მხრისაკენ სადგურ ატბულახთან ორთქლის მატარებლიდან ჩამოვარდნილა მაშინისტის თანაშემწე ივანე ტუგენევსკი. მატარებლის თვალმა საბრალოს თურმე მარჯვენა ფეხი მოჰგლიჯა და თავიც ძალზე დაუშავა.

— ბორჯომის რკინის გზაზე, მე-24 ვერსზე, კინაღამ უბედურება არ დატრიალებულა. სამგზავრო მატარებელს უთუოდ უბედურება შეემთხვეოდა, რომ გზის ყარაულს არ შეემჩნია გაფუჭებული და გამსკდარი რელსი. ყარაულს მატარებელი პატარა ბაირაღის ქნევით გაუჩერებია.

## გამოსადეგი ცნობა ოჯახობაში.

ჩაი და ყავა. ამ ჟამად თითქმის ყველა ოჯახში ხმარობენ ჩაის, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ უნდა გაკეთდეს ჩაი, რომ უფრო გემრიელი იყოს.

უპირველეს ყოვლისა ჩაისთვის საჭიროა კარგი წყალი, სულ ახალი მოტანილი. გარდა ამისა, უნდა ეცადოთ, წყალი რაც შეიძლება მალე აადუღოთ. ჩაიდანი დიდი არ უნდა იყოს და არც მაღალი. უკეთესია, რაც შეიძლება განიერი და დაბალი ჩაიდანი იყიდოთ ხმარების შემდეგ ჩაიდანი კარგად უნდა გამორეცხოთ და გააშროთ.

წყალი რომ ძლიერ კარგად ადუღდება, ჯერ ცოტა ჩაასხით ჩაიდანში, რომ გათბეს. მერე ეს წყალი გადაღვარეთ და მხოლოდ მაშინ ჩაყარეთ ჩაი; მერე ერთი ჭიქა ცხელი წყალი დაასხით, ცოტა ხანი დააცადეთ, მერე კიდევ დაასხით წყალი და შესდგით „სამოვარზედ“.

ჩაის რომ აკეთებთ, ჯერ შაქარი უნდა ჩაყაროთ ჭიქაში და მერე ჩაი დაასხათ, თორემ, ჯერ ერთი რომ შაქარი გვიან დადნება და მეორეც, ჩაის გემოს გაუფუჭებს.

რაც შეეხება ყავას, იმის მოხარშვა უფრო ძნელია. ყველაზედ უკეთესი ყავა გვრედ წოდებული მოკკაა, რომელიც არაბეთიდგან მოაქვთ, ამას მოსდევს იავასა, ბურბონისა და მარტინიკის კუნძულებიდგან მოტანილი ყავა. ბოლოდროს ბრაზილიიდგანაც კარგი ყავა მოდის.

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

—

მმართველობა ამიერ კავკასიის რკინის გზისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა თვის 30, დილის 11 საათზედ, ტფილისის სადგურზედ მოხდება საჯარო გაჭრობა ფორსუნკების, კრანების, კლაიტე-გაიკების, პრუჟინების, ბულდების, ძველ ქაღალდებისა და სხვა ავეჯთა.

საკონკურსო მმართველობა ნიკოლოზ ლორთქიფანიძის საქმეებისა ამით აუწყებს ყველას, რომ დიდუბეში იყიდება, მუშტაიდთან ახლო, სახარმიდამო მიწა 340 ოთხკუთხი საჟენი. პირობების შეტყობა გ. ა. გრაუზესთან, მიხეილის ქუჩა, № 79.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბოქაული აბდუშელიშვილი ამით აცხადებს, რომ 1897 წლის 6 თებერვალს გაიყიდება საჯაროდ კნ. ნინო კაციას ასულის გურიელის მამული, მდებარე ქ. ბათომს, მიხეილის ქუჩაზედ და ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ქვემო სართულში არის 8 დუქანი, შენობასა და ეზოს უჭირავს 234 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა. პირობების შეტყობა შეიძლება ქუთაისის საოლქო სასამართლოს კანცელარიაში.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბოქაული აბდუშელიშვილი ამით აცხადებს, რომ 1897 წლის 1 თებერვალს დილის 10 საათზე, საჯაროდ გაყიდულ იქმნება ქაიხოსრო დავითის ძე ლორთქიფანიძის უძრავი მამული სოფელ დიდ-ჯიხაიშში, ქუთაისის მაზრისა, სახლკარ-სამიდამო ადგილი ვენახებით, ზომით 12 ქცევა და სხვა მიწები და ადგილები და წისქვილები. დაწვრილებითი ცნობა შეიძლება შეიტყონ საოლქო სასამართლოს კანცელარიაში.

—

ტფილისის რეალურ სასწავლებელს ამა 1896 წლიდან სჭირდება სასწავლებელისათვის 20 კუბიკური რცხილის დახერხილი ხმელი შეშა. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ პირობების შესატყობად ყოველ დღე სასწავლებლის კანცელარიას. ვაჭრობა იქნება 28 ოქტომბერს 12 საათზე ნაშუადღევს.

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობამ ამა წლის 15 ნოემბრისათვის დანიშნა საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემი სამ ხიდზე მდინარე თეკალზე, რცხემელურისზედ და ჭემურაზე და კიდევ ექვს ხიდზე სხვა-და-სხვა ხევებზედ დაბა ცაგერიდან სვანეთში მიმავალ გზებზე. ხარჯი უკვე საგუბერნიო მმართველობას აღურიცხავს 7,242 მ. და 45 კაპ. ვაჭრობა მოხდება 15 ნოემბერს 12 ს. შუადღეს, პირადად ანუ ბარათით: მოვაჭრენი მოვალენი არიან ამ დღისათვის წარადგინონ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობაში მოწმობა ვინაობისა და აგრეთვე დაწესებული გირაო ფულად ან მომგებიანის ქაღალდებით.. მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები და ხარჯთ-აღრიცხვა საგუბერნიო მმარველობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

25 ნოემბერს ქუთაისის გიმნაზიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარის გასაცემათ. იჯარადარმა უნდა აძლიოს გიმნაზიას 1897 წელს სანოვაგე, ტანთ-საცმელი და სხვა და სხვა საქონელი. პირობათა შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გიმნაზიის კანცელარიაში, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## ცნობა სასამართლოდან.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევათ შემდეგი საქმეები:

31 ოქტომბერს.

ნინა თულაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე— სიმონ დვალიძესთან, მამულის თაობაზედ.

31 ოქტომბერს.

მაკა ენგიბაროვისა ტფილისის ოლქის სასამართ. განჩინებაზედ—იაგორ ოსკანოვთან, შესახებ სამედიატორო წერილის და სამედიატორო განჩინების გაუქმებისა.

12 ნოემბერს.

სურ-ნალის (ქუთაისის მაზრაშია, მამულების გამიჯვნის დროს ატეხილი დავა განირჩნვა 12-ს მომავალს გიორგობისთვეს.

## საკალენდარო ცნობა

ოქტომბერი

30 ოთხშ. მოწ. ზინობისა და ზინობიასი, ღირს არტემისა, იუსტისა და მარკოზისა.

31 ხუთშ. წმ. მოციქ. სტაქოსი, ღირს ურბანისა, სპირიდონისა, მავრასი, ანატოლისა და აპოლონისა.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის ღლისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კაჯკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მოდიან კაჯკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კაჯკავმეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასელმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.


## განცხადებანი

მასწავლებელი

**მიხეილ ნასიძე**

ამზადებს მოწაფეებს ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში შესასვლელად. მოწაფეს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამოქალაქო სასწავლებელი.

ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ანდერსონისა, № 149.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Октября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია